ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 02/02/2017

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 126

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის -„ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული ცენტრის" („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში, საუკეთესო ინიციატივების შერჩევის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ.“ ქვეპუნქტების და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის N20 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის -„ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული ცენტრის" („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში, საუკეთესო ინიციატივების შერჩევა განხორციელდეს კონკურსის მეშვეობით.

2. შეიქმნას საკონკურსო კომისია (შემდგომში - „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ალექსანდრე მითაიშვილი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ია შალამბერიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) მაია ჭყონია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი - იურისტი (კომისიის წევრი);

დ) რევაზ ირემაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი).

3. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნას:

ა) ნინო ბერაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (კომისიის წევრი);

ბ) ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (კომისიის წევრი);

გ) სულხან დუმბაძე - აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი (კომისიის წევრი).

4. დამტკიცდეს:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის -„ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული ცენტრის" („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში, კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის განხილვის წესი, თანახმად დანართი 1-სა;

ბ) მონაწილის სააპლიკაციო ფორმა, თანახმად დანართი 2-სა.

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის -„ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული ცენტრის" („ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“) ფარგლებში, ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი წერილის ნიმუში, საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშგების ფორმა, თანახმად დანართი 3-სა.

5. კომისიის მდივნის ფუნქციის შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ვერიკო ზაქარიაძეს, ხოლო მისი არყოფნისას (შვებულება, ან სხვა რაიმე გაუთვალისწინებელი, გადაუდებელი შემთხვევა) - ქ. ბათუმის მუნიცი-

პალიტეტის მერის ადმინისტრაციის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მთავარ სპეციალისტს - შორენა ფარტენაძეს.

6. კომისიამ საუკეთესო ინიციატივების შერჩევა განახორციელოს დანართი 1-ით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

7. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი